



თეატრი სსოვნება

ათეატრთ სკლიცრატურთ აქრნალი

№ 16 — 1915. მიიღება ხელშეწყობა 1915 „თეატრი და ცხოვრება“-ზე 19 აპრილი



ბიკენტი (ჭოლა) ლომ-თათიძე—სპ. მცირიშვილი
ჭოლა სათათბიროს დეპუტატად
ნამყოფი.—მეფის მოადგილემ
ნება დართო, კავკასიაში იცხოვე-
როს.



თანამედროვე ომის ერთი სურათი
(იხ. ამავე ნომერში გვ. 7)



ისიდორე რამიშვილი
პირველ სათათბიროს დეპუტატად
ნამყოფი. დასჯილი. მეფის მოადგი-
ლემ ნება დართო თბილისის გუბერ-
ნაში იცხოვროს.

ახალხან გაიხსნა

ს ა ხ ა ლ ი კ ლ უ ზ ი

მწიფეზორის **ა. ს. ახვლედიანი**ს
(სამხედრო ქუჩისა და გოლოვინის არსებულ-
ტის კუთხე), (5—4)

ს ა ხ ა ლ ი კ ლ უ ზ ი

სამშაბათს, 21 აპრილს, თბილისის ქართ. დრ.
დასის მსახ. ამს-ბის შიერ წარმოდგენილი იქნება:

ნაკალმონ და ყოზეზინა

პიესა 4 მოქ. ბარისა
მონაწილეობს მთელი დასი.

აღვ. ფასი 1 მ. 20 კაღან 10 პაღ.
დასაწყისი სად. 7 1/2 საათზე.
რეჟ. მ. ქორელი

ახალი კლუზი
დღეს, 19 აპრ. დრამატულ სსხ.
თათნობით წაიკითხვეს ა. მჭედლიშვილის
ბიბლიურ თქმულებას

ანგელოსთა აჯანყება-ს
გამართება კამათი. დასაწყისი 12 ს.

დღეს სხალხო სასლში გამართება
მ. ჭიაურელის დილა
დასაწყისი დილის 12 საათზე

სახურთალოს თეატრი
დღეს ნ. გოცირაძის და გ. იარდანიშვილის
მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

რაცვინახავს-ველარნახავ
დასაწყისი სადამოს 7 1/2 ს.

ჩამალადგვის თეატრი
დღეს ს. სვიმინაძის საბუნებისმეტყველოდ წარმ. იქნება
კაი გრაკი

<p>ფელიწადი მისამე</p>	<p>მიიღება ხალმონარა 1915 წ. ყოველკვირეულ სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ თურნალ</p>	<p>წლიურად 5 მ. ნახევარი წლით 3 მან.</p>
----------------------------	--	--

„თეატრი და ცხოვრება“-ზე
აღმორისტულ განყოფილებით და შარუებით

„თეატრი და ცხოვრება“ ყოველგვარ ჯგუფურ-დასურ მიმართულებების გარეშე თურნალი უმთავრეს ყურადღებას მიაქცევს სცენის, სიტყვა-კაზმულ მწერლობის, მუსიკის, ქანდაკების, სამხატვრო-სახელოვნო და საზოგადოებრივ მოვლენათა გარკვევას. ყოველ ნომერში დაიბეჭდება საინტერესუარ პიესა.

შ ა ს ი: წლით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., თითო ნომერი 10 კაპ. ფულის შემოტანა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 2 მ., მარტის გასვლამდე 2 მ., დანარჩენი 1 მ. ენკენისთვის 1.

ელმოწერა მიიღება: რედაქციაში (სოროპანი-ს სტამბაში) დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., თურნალ-გაზეთების კანტორა „განთიად“-ში, „ცოდნასა წიგნთსავაქროში, რკინის გზის სახელოსნოში — ალ. ძაძაშვილთან, ქუთაისში თ. შთავრიშვილის წიგნთ სავაჭროში ს. ეპიტაშვილთან

მიიღება განცხადებანი თურნალში დასაბეჭდათ. განცხადების ფასი: 1 ევ. ორიგებით, 2, გვ. კორპუსის პუკარი ერთ სვეტზე 25 კ. 3-ზე—20 კ., 4-ზე—15 კ. ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე. ფოსტის მისამართი: Тифлиси, Ред. „Театри да Цховреба“ Иосифи Имедашвили

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა



№ 16

წელიწადი
1915 წ

წელიწადი 5 მ., ხანგრძლივად 3 მ., ცა
კონომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „საბუნების
რაპანის“ სტამბაში. მისამართი: თბილისი
რედ. „Театри да Сценоба“ I. Имедашвили

ხელ-მოწერელი წერილები არ დაბეჭდვ-
ბა.—ხელთნაწერები საკურობისამებრ შეს-
წორდება.—რედაქტორთან პირისპირ მო-
ლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის
კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი
5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 16

კვირა 19 აპრილი

1915 წ.

19 აპრილი

მოზარდებმა
ჩალა დააწვეეს?

ქართული თეატ-
რის სახარებო რომ
დღითი-დღე ფართოვ-

დება, ეს უკვე ცხადია.

ახალი დღის ხალხით ესწრება წარმო-
დგენებს... სამწუხაროდ სრულიად უყურად-
ღებოდ არის მიტოვებული მოზარდი თაო-
ბა: არც საბავშვო წარმოდგენა, არც სალი-
ტერატურა დღეა, არც კონცერტი...

შარშან თუ შარშანწინ საბავშვო დღე-
ბი გაიმართა; უნდა გენახათ ბავშვების აღტა-
ყება, გამოცოცხლება და მაშინვე იტყოდით,
რომ თუ წარმოდგენა-კონცერტი საჭი-
რო, უმთავრესად ბავშვებისთვის...

საჭიროა თეატრის მესვეურებმა, საყმა-
წვილო ეზრანლების ზედამხედველობა და დრამა-
ტურგებმა (პიესების დაწერებით) ამ გარე-
შობებს ყურადღება მიაქციონ, ბავშვთა სუ-
ლიერ დაკმაყოფილებაზე და ეზრუნონ...

გული გიკვდება, როდესაც ჰხედავ სუ-
ლიერ სახარდოს მოწყურებული ბავშვები რომ-
გორ უნაზროდ ჰკარგავენ დროს, ან კარჩა-
კეტდებიან არიან, ანუ ისეთ წარმოდგენებ
ზე დაიარებიან, რაც მათ არ შეეფერება!..
ეს ნაკლი უნდა შეივსოს...

ჭირში მგლის თავზე სახარებებს კით-
ხულობდნენ, ის.კი—დამაცა მთა-
ვრთად. ზე ცხვარი გადადისო...

ქვეყნის სისხლისა და ვაზარდნილ ლეშის
ოშვიდარი ასდის, სახელმწიფონი სახელმწი-
ფოთა ჩასანთქმელით არაგითარ საშუალებას
არ ვრდიდებიან, საკუთრივ ჩვენი სამშობლო,
კოხაკისა არ იყოს, ლამის შუაში გამოიქ-

ულიტოს და ჩვენს ზოგიერთ მესვეურთ-
კი—ქვა შეუგდლით, თავი შეუშვარიით—და,
თუ ჩვენი სიტყვა არ გაიმარჯვებს, ქვა
ქვაზედ ნუშეც ყოფილაო...

აზრთა სხვადასხვაობა, საზოგადოებ-
რივი გარკვევა, თქმა არ უნდა, სასურველია
—უამისოდ ხომ არც თვითაზროვნება შე-
გვეძლებოდა და ერთ ადგილს გავიყინებო-
დით,—მაგრამ ერის ცხოვრებაში ხშირად
ისეთი წუთები სდგება ხოლმე, როდესაც
ყოველი წრის, ჯგუფის თუ კერძო პიროვნე-
ბის „შე“, საკუთარი გულისთქმა უკანა
რიგზე უნდა ჩამოგდეს და მთელი ყურად-
ღება, გულისყური სამშობლო ქვეყნის სვე-
ბედის მოწყობას მიექცეს...

ბევრი ისეთი სიტყვა, რაც ათიოდე
წლის წინად გამოდგებოდა, ახლა აღარ
ივარგებს, ბევრი ისეთი ჯგუფური თინიანო-
ბა, რომელიც ერთს მეორისაგან გვითშავდა,
დღეს აღარ გამოდგება: ურთიერთის გაყრ-
ღვა, „დასამარება“, პირდა ქონით მოწინააღ-
მებრე მხრის ფეხქვეშ გაქვლედა, ჩვენი ქვეყ-
ნის ლეღვანდელ მდგომარეობას არ მოუხ-
დება...

ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ-სფლავ-
ბრივი მოწყობა, გლეხთა სულიერ-ქონებრი-
ვი დაწინაურება, ვაჭრობა-მრეწველობის
განვითარება, მიწა წყლის გონიერი გადამუ-
შავება,

მიწა-წყლის სიმცირით შე-
ვწრობებულ იმერთა ამერეთში გადამზინა-
ვება, დაბოლო—აქარელითა და სხვა მთა-
კრების მოწყობა, მათი ნაწილობრივი დაწინა-
ურება, ქართული თეატრის განვითარება, დასა-
რწმუნებლად სახალხო თეატრის, მისი მომზადება...



კითხვებზე და სხ. მოწყობა ისეთი მძიმე, მაგრამ საპატიო საქმეა, რომ ყველამ, მემართულებისა და რწმენის განურჩევლად, როგორც წინადაც გვითქვამს, ამ დარგში ერთად უნდა ვიმუშაოთ...

ჩვენი ქვეყანა წინ მიდის, დემოკრატია ძლიერდება, ხალხი ძილისაგან ერკვევა და ქვეყანას ისღა ენატრება, ამ ხალხის მესვეურად თავგამოდებულთ, ე. ი. იმათ, რომელნიც საზოგადოებრივ აზრსა და საქმიანობას ჰქვნიან, ახლა მაინც გაითვალისწინონ, რომ ჩვენი ქვეყანა ღღევანდელ მძიმე პირობათ მხოლოდ მათი ურთიერთის შეთანხმებით, ერთმანეთის დახმარებით დაახწვეს თავს...

დაე, თავთავისი რწმენა გვექონდეს, მაგრამ ჟამსა ქვეყნის გაქირავებისას ერთად უნდა ვმოქმედებდეთ, ზურგითზურგს მიყუდებულნი...

ის მხარე, სადაც ვიტანჯებოდი, სამშობლოვ, შენგან დაშორებული, შენი შეილების სისხლით ირწყვება, კვლავ ბრძოლის ველად გადაქცეული

და ვ-ნ უწყს ახლა სად არი, სადა, იმავე შეილებს კუბო-სამარე?... შენ გეკითხები, ჩემო სამშობლოვ, თუ იცი, ბედკრულს, მითხარი რამე!..

ქნარი

მ ს მ რ ხ ა მ ი

მუყაითი მუშა კაცი იყო გიო. .

თუმცა შრომის ფასს იმდენს არას აღეცდნენ, მაგრამ ის მაინც თავ-დაუზოგავად მუშაობდა ..

დილიდან დაწყებული სადილობამდე და სადილობიდან შედამებამდე ისე ხალისიანად გაჰქონდა და გამოჰქონდა ტივის ხის გულში შეჭრილი ხერხი, რომ წუთითაც არ შეისვენებდა, შუბლიდან მოწურწურე მადლიან ოფლსაც კი არ მოიწმენდა..

— ქა, დღეს რა ადრე ავიღია ხელი სამუშაოზე—უთხრა გაკვირვებულმა კოლმე გიოს, როცა ის ჩვეულებრივ დროზე უფრო ადრე მივიდა სახლში.

— ადრე კი არა, რაღაც შეუძლოთა ვარ, დღედაცოვ.

— უბიე!.. რა დაგემართა ქა!

— ნუ გეშინიან საიმისო არაფერია. ეს არი მუშაობას მოვცით, თორემ ისე რა მიქირს.

— მაინც, რა გტკივა, არ იტყვი, კაცო.

— რა ვეცი ე ოხერი ჩემს სიცოცხლეში თითის ფრჩხილიც კი არ წამოატკინია და დღეს კი რაღაც ეშმაკად, როცა სადილობა გავათავე, ოფლში გაწურულ პერანგის ამარა მივწეკი ფიცრებზე და მტკერის ცივი ნიავიტ ნასიამოვნებს ტკბილად ჩამძინებოდა... გამოღვიძება და მთელი სხეულის გათანგვა ერთი იყო. თავს ძალა დავატანე, იქნება როგორმე მუშაობაში გამოვიშუშო მეთქი, მაგრამ შენც არ მომიკვდე..

— უი, დამიდგეს თვალი, ქა! რალა წყალში ჩავვარდე!

— გეუბნები, არაფერია მეთქი. გაივლის. შენ ერთი ლოგინი დამიგე და მეტი არა მინდა რა.

— ეჰ, ღმერთო! რალა ეს გვინდოდა, შენი მადლის ქირიმე—მწარედ ამოიხენეშა მართამ და წალოდან საჩქაროდ ამოყარა ლოგინი.

გამოკეთების მაგივრად, რაც დრო გადიოდა, მით უფრო უარესად ხდებოდა გიო... სიკბისაგან ცეცხლი ეკიდებოდა... ჰპორავდა, მოუსვენრად ტრიალებდა საწოლში...

რამდენჯერ არ ეხვეწა მართა, ექიმს მოეციეან, წააშლს მოგცემს და კარგად გახდებიო, მაგრამ არ იქნა და არ გაიგონა...

დაატყო თუ არა მართამ, რომ საქმე მართლა ცუდათ იყო, ქმრის დაუკითხავად მაშინათვე ექიმისაკენ გაქანდა..

ლამის ათი საათი იქნებოდა, როცა ექიმის ეტლი ავადმყოფის სახლთან გაჩერდა



— უჰ! ეს რა ბული დგა!—ოთახში შესვლისთანავე წამოიძახა ექიმმა: აბანოა თუ რა არის! გამოალეთ ოდნავ ფანჯარა!

ექიმი მივიდა ავადმყოფთან. გადაჰხადა ერთი საბანი. მეორე, მესამე და... შეჭკივლა მართას: ეს რა გიქნიათ, ჰა?!.

— რა იყო, ბატონო!

— რა და ისა, რომ კაცს ანთება თავში სცემია და თქვენ კიდევ ამდენი საბნები დაგიყრიათ ზედი!..

— რა ვქნა, შენი ჭირიმე, გაციებული ვახლდათ და იქნება ოფლი იღინოს მეთქი...

— ოფლი! ოფლი!— გაჯავრებით იმეორებდა ექიმი და თავს იჩქევდა. — ბართვით ეს ორი საბანი! ერთიც ცუკოფა!

— ეხლავე, შენი ჭირიმე...

— რატომ აქამდის არ შემატყობინეთ!

— რა ვქნა, გენაცვალე, არ მინდა, ისეც მოვჩრებიო და...

— ხო და ახლა თქვენვე მოარჩინეთ?

კაცს ვიდრე სიკვდილის პირზე არ მიიყვანათ, თავს არ მოიფხანთ!

— ექიმო! ექიმო!..

— გვიანდაა!— გულში ჩაილაპარაკა ექიმა, საწერ-კალამი მოითხოვა, გამოუწერა რალაც წამალი და წავიდა...

რა ღონისძიება არ მიიღო, რა წამლები არ მიიღებინა საცოდავმა მართამ შეწუხებულ გიოს, მაგრამ მაინც ველარაფრით ველარ გამოაბრუნა სიცოხლისაკენ...

ავადმყოფს ენა ჩაუვარდა, ცნება დაეკარგა, გაბმული კენესა სიკვდილის მომასწავებელ ხრილად გადაექცა...

ღამის ხუთ საათზე მკერდის უქანასკნელ ამონაქშენს თან ამოჰყვა ტანჯული სული ტანჯული მუხისა...

მხატვარი ვანო



მიხეილ ლელაშვილი

სახალხო სტუდენტობაზე, მოლექსე (სწერდა „ჩუქვილია“ და ხხ.) უკანასკნელად ჟუჟ. „სუსის“ რედაქტორობდა. ამ წამად ძალზე დაავადებულია და მოთავსებულია მიხეილის საავადმყოფოში

ვანო მხატვარი იყო. სიცოცხლით სავსე. ახალგაზდა. მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ.

სასწავლებელი რომ დაამთავრა, იგი უცხოეთს გაემგზავრა, რათა საუკეთესო მხატვართა ნაწარმოებთ გასცნობოდა... მაგრამ მშობლიური მთა-ველი, რომელიც დი ხანია არ ენახა, თვისკენ იწვევდა, და როცა ნაცნობი მთები წარმოუდგებოდა, ან მოელანდებოდა ტკბილი რაკარაკი ნაკადულთა, ჩხრიალი ჩანჩქერთა— ჭრუანტელი აიტანდა, ყურში ჩაესმოდა ხმები მოწოდებისა და ეანოს სამშობლოსკენ იწვევდა.

რალაც დაფარული შემოქმედება ვანოს გულს სწვამდა... დაავდა მის არსებას და სიციხიანი იგი ერთი მუზეუმიდან მეორეში დარბოდა, მხოლოდ წამით შეჩერდებოდა ხოლმე გამოჩენილ მხატვართა ფრესკების წინაშე და ცეცხლივით აინთებოდა, რალაც გაიტაცებდა... ტირილით გარეთ მორბოდა.



ვანომ ასეთ ტანჯვაში რამდენიმე ხანი საზღვარგარეთ დაპყო და სიხარულით აღტაცებულმა ბოლოს სამშობლოს მოაშურა.

მშობლიურ მიწაზე ფეხი შემოსდგა. ბუმბერაზ ზეთის თვალი მოავლო, მოისმინა მზული გიჟ მდინარეთა და ვანო უფრო აენტო... შემოქმედების ტანჯვამ იტანა იგი. და მან სოფელს მოაშურა, იმ სოფელს, სადაც ის დაიბადა და დიდი, დიდი ხანი იყო არ ენახა სოფელს მოაშურა, რომელიც მისი ნუგეში იყო, რომელიც მას უყვარდა, სადაც გაატარა ტკბილი ბავშვობა, სადაც იზრუნო მან საუკეთესო წუთები თვისი სიყრმისა.

გულით მიენდო იგი საყვარელ სოფლის ჰაერს... სიხარულით მის პაწა გორაკებს მოველო. მიესალმა გიჟმაქ მდინარეს, რომელიც ამწვანებულ სოფლის შუა მინავარდობდა. ვანო საყვარელ სოფლის მიწაზე ნუკრივით რბოდა, კოცნიდა ყოველივე მცენარეს, თავს ევლებოდა...

დიდი, დიდი იყო მისი სიხარული...

ი. ჩხეიძე

(შემდეგი იქნება)

სამეხოს ზღვაზე

(მანიატურება)

III მოგონება

ცისფერი ფრთიანი პელები ღონეზიხილი დაფენილიყენენ გზატკეცილზე და სიკვდილით დანახუნთქნი, თრთოლვით, ცახცახით ელოდენ უკანასკნელ წუთს. მღუმბარედ აზიღულ ნაძვის მწვერვას, მწერთა გუნდი უკანასკნელად უვლიდა ფერხულს და შემდეგ ძალმიღებული მოცივიოდენ ძირს. მზის მკრთალ სხივებით დასერილ სივრცეში ისმოდა სიკვდილის ქშენა. ნელი სიო ფერმკრთალ ფოთლებით ფარავდა მიწას. სიჩუმით მოცულ ბაღს, რომელშიაც ჩვენ ვისხედით, სიკვდილი ევლებოდა თავს. შენს მგზნებარე მკერდზე

კი, ამ დროს იფურჩქნებოდა ორი კუკური და მათ შორის პაწა ოქროს ჯვარი ისე ირხეოდა, ვით ყვავილთ ფოთლებზე მაისის ნაბი. სულგანაბული შევეყურებდი შენს თვალთა ციმციმსა და უსაზღვრო ვნებით მიძგერდა გული. ამ დროს ჩვენ შორი ახლო გაჩერდა სულის დამწყულვლებელი, თითქმის შიშველი აზრლილი.

— ვინა ხარ, ვინა?

— მაწანწალა! შიმშილისაგან ღონეზიხილი.

შემრცხვა, გავწითლდი, შენს კალთაში ჩავხალე თავი. მითრთოლვარე ხელით ჩამოგლიჯე ოქროს ჯვარი, გადავიხრალე მთხოვრისაკენ და მივაძახე:

— წაიღე! წაიღე!

— რა ჩაიღე! თავხედა! შმაგო!

— რამ გაგაფთირა? მაწანწალასაც ხომ უნდა შეველა?

წახველ გულცივო! მე დავრჩი მარტო. პირქვე დავეშხე და ავქვითინდი.

მახსოვს ყველა ეს! მახსოვს. მაგრამ რა ექნა? ჩემ ცხოვრების ცარიელ სიღრმეს, ეს მოგონება მინც ვერ ავსებს.

IV უმანკება

რა მომხიბლავი სურათი იშლება თვალწინ, როდესაც უტკეერ უმანკო ბავშვთა ბუნების წიაღში თავისუფალ ცქრილს. ერთად არიან ქალნი და ვაჟნი. ნეტარების სხივი გამოკრთის მათ თვალეზში, ნახი უმანკო ღიმილი ისე ისხივოსნებს მათ სახეს, ვით ცისარტყელა წვიმის წვეთებით დასერილ ჰაერის სივრცეს, მაგრამ, აი სიყმაწვილის ხანა მალულად წამოეპარა საბრალოებს, ვნების ტალღები ჩქროლდა მათ გულის სიღრმეში, და რომ დაიკონ უმანკობა, მოთამაშეთა ბანაკი ორად გაიყო!

რა ენა! სიყმაწვილო და უმანკობა ერთად არ სუფევს.

მთ. ხომალაძე



შ ა ვ ი რ ი ბ ნ ი

(შ. არაგვისპირელის შემოქმედება)

(ავტობიოგრაფია. ობ. თ. და ც. № 14)

შ. არაგვისპირელი მთელ შემოქმედებაში ნული ნაბიჯით დასერილობის შუა კაცი, რომელსაც ხელში ცელი უჭირავს და სხობს უოველივს, რაც კი აღმავანს გარს შემოჭნაღრთივს. ეს კი მიტომ სჭირდება, რომ და მაინს „შიშველი სული“ იხილოს, გაიგოს, თუ რა არის აღმავანი, ზიროვნება, როგორა მისი ზიროვნე-უოფილობა, და როგორ თანდა-თანობით იღესება იგი სსხოგადოების მიერ, რომელიც ბინძურ და ზუროლეულ ქაობს დემსკავებას. შ. არაგვისპირელის ძიების სჯანი ზიროვნება, სწორედ აქ იშლება, ისპობა. „ნუ თუ ჩუენი სსხოგადოება ისე დაშობრეულია, რომ ზიროვნების წაშლა მატრე აღვიღად შეუძლიანო?“ (რეცინათელა) მატრამ ასე უოფილას: „ატრ მთელი სოფელი, დაღებულ ხსით, სპმხელ, დაუე გვერცხის სურს ზიროვნობქლებს გიორგის... კოკლი, ბრმა, ყრუ. მახინჯი სულით, გულით და მთლად სსეულით, გამონერვტეული თავის ხნოვანებით, ქალი და კაცი ერთმანეთს არ ეცდის, ერთმანეთს უჯობრება, რომ უფრო მეტად ზუროლის ჭკერი გიორგის დასახრნობად. მის სოფელიდან გასძეკებულად... რაღენამე ზირომა ხმა აიძლდა, რომ გონს მოეკვანას ეს ბრბო, გაუთვალისწინებინა მისთვის საქმის მსვლელობა... ზიროვნებას სასმარწლებენ, თავიანთი გაუბებობების მიხეცით. „ზიროვნებასთან ანკარიშის გასწორება არ ჭსურს აც ერთსა! და, ისე შელახეს ზიროვნება, ისე გაამახრავეს, რომ იგი ციცინათელას, ამ უმნიშველო შწერსაც კი შეჭნატრის. რატომ? მიტომ, რომ ატრ, ქარიშხლის დროს, თუმც ეს სსსტიკი ქარი სპმხელი სიძლიერით ებრძვის, ჭსრდილობს, თუმც შეუტრებლივ მის ზიროვნების წაშლას, იგი მინც თავისას არ იშლის“, იგი ევლავ ანათებს და ციცინათელა ციცინათელად ჭკვლებს, ზიროვნება შენსული. აღმავანი?—აღვე სსსტიკი გარემოება ხელს უშლიდაც, ეწინააღმდეგოს, ზიროვნებამ თავის უქანსკენელ სულის ამოხდა-

დის მოვლეობას არ უნდა გადაუხიოს და წინ მიდიდაც შეუდრეკვალად. (იქვე) კი, მატრამ ეს ხომ სსსურველი კატეგორიაა, არსებულისაგან შორს მდგარი? ნამდვილად კი, სსხოგადოება, ეს ბრმა სჯავი, ერთ წუთსაც არ სდგება, რომ ზიროვნება მთლად შიანთქას, თუ კი დასჭირდება უძღება სტომატის დასავსეოფილებლად. თოეთ მონა (სსხოგადოება), ყურმოქნაიცი მონა ძლიერისა, სრდილობს დაგომონაფოს, გაჯანდაგუროს, სისხლი გაციშოს... (ატრეცილობა...) ...სსხოგადოებამ წამართვა ის, რაც ბუნებამ მომანჩა, ან კიდეც, თუ არ წამართვა, დამამახინჯა, გაპირუნა და შემლახა“. ასე მოსთქვამს გაბრა, ეტრეღმა ატრეცილობაში, რომელმაც ერთად ერთი სჯავნი, არაგვის მწიქნარ ტალღებში მოიძებნა სსხოგადოება, ანუ უფრო ფართად რომ გავსედლოთ, მთელი კატეგორია, შ. არაგვისპირელს ერთგვარ საჯავდმოფოდ ებუნება; სდაც არეულია ატრეცილობა, ბრმა, ყრუ, მახინჯი სულით, გულით, და მთლად სსეულით, გამონერვტეული თავის ხნოვანობითა (რეცინათელა), რომელნიც დაუე გვერცხის სურს აორთქლებს ირვლივ, სდაც ზიროვნების შეურობებულს სული ეხუთება და ჭტოვებს, შიშით გარემოცული. ატრ საჯავდმოფოთ. საჯავდობით სსვადმოფოთ, აღმავანება რომ არის ტატედიცი, სულ ჩაუუთლებული სსხეობა... ძვლებად ჭნეულინი. ელიან... სიკვდილს ელიან... გენეს, კენეს და კენეს გაისმის... სტირის აღმავანი, ჭტოვებს; ელანება სიკვდილის შუა ჩრდილი... უნდა მოეკვდე...—ამობის აღმავანი. „რისოვის და გავხნდი, რა ჭქინდა სსრად ჩემ გაწინაში ბუნებას? სუ თუ იმისთვის ცტოცხლობდი, რომ გაუხნდი და გველები,— რომ ცტოცხლობდი, ვარსებობდი?... ჭმ... მპმ რა ვატრ, რა სსხელი შეწოდებო?—აღმავანი... მატრამ რა არის აღმავანი? აღმავანი არისსს... აღმავანი... აღმავანი... აღმავანი... აღმავანი სიტყვად დაჩნდა და შინასსსე ვერა მოთბავრას. (აღმავანი). იტრჯება აღმავანი, ემინან უო-



ველი წუთის, ეშინიან უველაფრის, და უმთავრესად კი... ღაღამიანის... აჟინ არის ის?..“
 „— ნუ გეშინიან, ღაღამიანა... — ზღამიანია... წავიდეთ აქედან!.. აგერ როგორ მიტქერის... შეშინიან!..“ ღაღამიანს ღაღამიანის ეშინიანს, ღაღამიანი ღაღამიანს გაურბის... თითქოს მართლდებს რომელიღაც ანდას: „ღაღამიანი ღაღამიანისთვის შეველია“. — და თურმე უფიქრად კედელ მიხედავით. აგერ რეკლამა-მიხედავით, რომლის თვალზე უფიქრად იკვანება ღაღამიანის გულის უფიქრად ადგილებში და უფიქრად სხვადასხვა სახეების იტებს... თვალ-წინ გეშლება სულ უფიქრად, მისთვის აქამდე დადგარული და უზინარი სახე ღაღამიანისა... ღაღამიანს ტარდას. ღაღამიანი—მიტქერე, უფიქრად იქით მიეშურება. „რეკლამა-მიხედავით“ გაღაღამიანს კეთხეში სდგას. უმხერს. უფიქრად მიტქერდას... უფიქრად ციურით მატყუარა, თვალმაცხე... — ახ, დამართო, სხვადასხვა, სხვა მოვსებობა წმინდა გონიერება, წრფივად და უანგაროვანად, ჭეშომიერებას ღაღამიანი წუთით რეკლამა-მიხედავით. — „დამართო, ნუ თუ შესაძლებელი უფიქრად მიტქერე ხელაფრურად თვალზე ბუნების საზოგადოებას, და დაჭედიროს ღაღამიანს ნამდვილი მოძრაობა გულისა“, — განაგრძობს იგივე, და მისული უფიქრად აღმოფიქრებდას, დამართოს და შესაძინოს: „უფიქრად, შარბილი ტარდას, შემუსრე მისი მკვიდრი კედლები, როგორც მიტქერე შემუსრეს უფიქრად ღაღამიანური გონიერება... აგერ მისი დედან... მისი სატრფოვ...“ დამართო, შეობრადე წამებული შენი შვილია!.. ღაღამიანი ნუ მოხვალ! წავიყვანე კებე, ნინოც! ნურც მაცის შემოიყვან, წადი, წადი...“ რეკლამიანიც ღაღამიანად იმართო არ მიინდა თქვენ გულს შეეხვდით... თქვენი საიდუმლო გაეცათ... „მიინდა ეგ ორი გული მინც არ ვიცოდე! ეგ ორი გული მინც მაკავშირებდას ღაღამიანთან... მინდა ღაღამიანის გულწრფივობას მიწამდე...“ მიგარდა... დაწვინდა. გუბნები გონებას... თვალ დაბრმავდა!.. ღაღამიანის გულწრფივობას მინდა მიწამდე, მინდა!..“ — რეკლამიანი უფიქრად, გმადლობ! სინამდვილის ცრემლის ფრქვევით წამოიხიქა ღაღამიანში და მხურვალედ უფიქრად მადლობა შესწირა, რომ სინამდვილი უფიქრად გულთმხილავი და არა ცხადად... — დასრულდა

შემომქმედო, და ამით ერთი ორად აღიარებდას ტრაგიკულ მიმდინარეობას. ღაღამიანს ეშინიანს ღაღამიანის შიშველი სულის, ღაღამიანი არჩევანს „ნეტარ უცოდინარობას“, რადგან მხოლოდ მის საშუალებით უფიქრად შესაძლებელი ცხოვრებას კატა შორის. „რა გვარი სისაძაგლე არ არსებულა ღაღამიანის გულში“. — აი რა დასკვნამდის მიდის მიწრადი. თურმე უფიქრად თვალმაცხეობს, უფიქრად სტრუბოს, უფიქრად უფიქრად ატრუბებს; და ამ სურათი ღაღამიანის — უფიქრად ციურობას. ნამდვილად კი, უფიქრად თავის თავს აღმერთებს, უფიქრად საკუთარ მიწას დასტრუბავს. სურათი სახარება.

მეც ვიზიარებ მიწრადის გულისწრფივობას, მაგრამ სხვაგვარად შ. არაგვისპირელი ამფოთების ის, რომ უფიქრად თავის თავს აღმერთებს და ნატრობს: „ერთი, ერთი ღაღამიანი მინც ვინაა, რომელსაც თავის თავი არ გაღმერთებინოს, და გულწრფივად მოქმედებდესო.“ (რეკლამიანი უფიქრად, გმადლობ). სულ სხვა გვარია ჩემი თვალსაზრისით. მე ვწახვარ არა იმის გამო, რომ ღაღამიანი თავის თავს აღმერთებს, არამედ რომ ღაღამიანს ეშინიან რადიკალურების, რომელნიც თავის თავს გაღმერთებს უგრძობად, და ამ შიშით შეპირობადი, სტრუბოს, თვალმაცხეობს... თარბე ღაღამიანი რომ თავის თავს აღმერთებს, ეს ბუნებრივია და სიბუნებრივია იქნება მის წინააღმდეგ წასვლა. ღაღამიანის მიუღიანი ტრადიციანი იმში მდგომარეობას, რომ იგი იშვიათად არის სოფლი, ის, რაც არის. მეტ წილად იგი გარდაქმნილია, ანუ შტორნიკის ენით რომ ვსთქვა, „მოხვედნიან შეპირობადი“ არსებას, რომელიც არის არა ის, რაც არის, არამედ ის რაც საკმარისა რომ იყოს, რადგან მას შიშობის საზოგადოებას, წინებას და სხ... საზოგადოებრივი ცხოვრებას ისე ღაღამიანად, რომ ღაღამიანი გაღმერთდა, მისი პიროვნებას წარად იქნება ქცეული. „ღაღამიანი საზოგადოებრივი ცხოვრებადია სთქვა ძველად ბრძენმა, (არსტოტელის) და დღევანდელი უსახეო საზოგადოებრივი მასამუად იმერთებს, და ისიც ღაღამიანის პირობა, მაგრამ რა არის საზოგადოება? რისთვის არის იგი? რა არის მისი მიზანი - ღაღამიანი. საზოგადოება-საზოგადოებისთვის — არაფერს ამბობს.

საზოგადოება—ზიროვნებისთვის, დადამანისთვის, რადგან საზოგადოებრივი ცხოვრება ეს ერთი იმ იარაღთაგანია, რომელიც დადამანის მიერ, თავის სასარგებლოდ არის შექმნილი. და დადამანი რომ საზოგადოებრივად ცხოვროვდეს, იგი ამგვარი არა საზოგადოებისთვის, არამედ თავისთვის, არა— მე“ განუწყვეტლივ წრეს უფლის „მე“-ს გარშემო. „უგეღაფერი დადამანიშა, უოგეღაფე დადამანისთვისა და ასეუბობს მხოლოდ დადამანი“. (მ. გორგი) მაგრამ საზოგადოებრივმა ნიაღვარმა გადაურა ზიროვნებას, და სახე უცვალა. მსოფლიო სვავი, მახინჯი საზოგადოება ზირ-დაღებულად თვალებს აბრიალებს, და უფლას სისხლს სწოვს, რომ როგორმე უღლები სტომაქი დაეკუთოფილოს კერძები გამრავლებულან, დადამანები კი მათ მსხვერპლად ეწირებან. და დღეის დადამანი რომელიმე დახერხულ სობოროს უფრო დასტირის, ვიდრე მილიონებით დახტილ დადამანებს. . . საშინელდება. დადამანი, ეს „ზუნების მიეგ“, როგორც ის ხშირად თავის თავს უძახის, თუმცა ამისთანავე ისეთი უმნიშვნელო რამეც უფილავ, რომელიც ისევე ფსიაბს, როგორც სიზი ქვა, ველურ დადამანის ხელში, როდესაც მის სჭირდება მის მსტავის ან ნადარის მოკერება. ზიროვნება მთლიანი, რადგან ჟადონურ წველების ერთი აქნეით, უსახეო საზოგადოების მონა-მსახურად ქვეულა, და რადამანი—არადისა ქვეშ ხელს აწერს. სიანხმეებს რაზე? თვით კი იცის? მთლიანი-თქვიფება და მსხვერპლად ეწირება თავის ხელთ გადათლად კერძებს. საკუთარ თავის გადაგვარებას სულაც არ აწუხებს, თავის ნამოქმედარს კი ცხრე ცრემლით დასტირის. ერთი დადამანი მანძი უნახო, რომელსაც თავის თავი არ გაუღმერთებინოს და გულ-წრფელად მოქმედებულა, ამბობს შ. არაგვისპირელი „გულთა-მიხდავის“ ზიროთ, ე. ა. თავის თავის გადაშრობა იკმობა. გულ-წრფელთა კი იმასი გამიანატება, რომ საზოგადოებას ეხმარო, და მის მონა ბოჭად გადაიქცე. სწორედ ეს მორალია უწრფელი. ეს ის საცოდავი მოძღვრებაა, ალტრუიზმს რომ ეძახიან და ცალკე კატეგორიად სახავენ. ვერ წარმოუგებნათ, რომ იგივე გეოიზმიც, მხოლოდ სახე-ცვლილი. სეშო

დასკენა მწერლის კი ასე უნდა შეიფასოს ერთი დადამანი მანძი უნახო, რომელსაც თავის თავი უშიშრად გაღმერთებინოს. ეს უფრო ნამდვილი იქნება. „და, უგელამ ჟერ თავის თავზე იფიქროს, და მას უფლებად მოჭეუება სხეების ბედნიერება. ამ სიტუცებით გასცა ზასუხი დიდმა ჰეტემ სენსიმონისტეს, და სამართლიანადც.

ვახტანგ კობეტიშვილი

თანამედროვე ომიდან

(სურათი იხ. კანის პირველ პირზე)

გერმანია უფელ დონისძიებასა ხმარობს, ამ შესანიშნავ ომში გაიზარდეთ: მოსვენებას არავის აძლევს და ზღვა-ხმელეთის გარდა, ზღვა ქვეშა და ჰერშიანც იბრძვის, მაგრამ არც მას აუწებებენ კარგ დღეს და დირსეულ ზასუხით ჰხედებთან.

ამ ერთი გვირის წინად დგეშებმა ამბავი მოკვიტანეს, რომ გერმანელთა ცეპელანება (ჰერში მფრინავი მანქანები), ინგლისის ზღვის ზირა ქალაქებს დაეცნენ და უუმზარება ჩამოაგდეს. ეს მთი ოაიები ზირეული არ არის. ინგლისელებს, რასაკვირველია, არა სძინავთ; სანამ მოწინააღმდეგე ჰერობლანები გამოკეტებთან მათ ჰერში საბრძოლველად, ინგლისელები სანაზირო კრეისერებთან ცეპელანებს ხარბახნებს დაუშენენ ხოლმე და დიდ ხარაღსაც აძლევენ გერმანელები დღისით ვეღარა ბეღევენ და ხნად და-ღამობით ეზარებან, რომ შეუმჩველანი დაწნენ როგორც ზღვიდან ისე ხმელეთიდან შეიფაღურეთან; მაგრამ ზოთქქიტობების შექმნა შენაიშავენ თუ არა, მაშინვე სირენით) მცხოვრებლებს შეატობინებენ, რომ ქუჭებზე მოერიდონ უუმზარებს და სახლებს ქვედა სართლებს შეფართონ თავი.

ხეები სურათი წარმოადგენს იმ წუთს, როდესაც გერმანელთა ცეპელიანი, რომელიც რამდენიმე კაცი თავისუფლად ეტევა, ინგლისისაკენ მიეშურება, ხოლო ინგლისის კრეისერიდან მის საზახნებს უშენენ. **მ. იანქო**

* სირენა - გულსაკლავი და საზარელი სტენა-გმინვა, ყვირილი, რომელსაც ასტეხავენ ხოლმე ცუცხლის მოღების, წყალიდიობისა ანუ სხვა სხვა ობიექტებდურების დროს.



ფაშა ღიშვილის ლექსები

I

ალისფარი ვარდი

რელისის მზე ჩაჰკრა, ცაზე
 დღის გვირგვინი დადნა წმინდა
 და მიდამო გიშრის ვერც
 ლამის სუნთქვით შვიბანდა...
 ჩვენ ვიდექით აივანზე
 და თვალები საუბრობდნენ,
 ხან ერთმანეთს სწვავდნენ ცეცხლით,
 ხან სიმორცხვეს გაუბობდნენ! —
 მოხველ ჩემთან, მოხველ ახლო,
 ნიაფივით ცქვიტად, წყნარად
 და მღვღვარემ აღისფერი
 ვარდი მიძღვენ სახსოვრად,
 მითხარ—აჰა, სამუდამოდ
 გქონდეს გულზე დასაკონად! .
 არ დაჰქნო! . და თუ დაჰქნეს,
 შეინახე მოსაგონად!..
 — პასუხს მერე, მერე მ-გცემ.
 გითხარ მეტის ველარ მთქმელმა
 და... ერთმანეთს დავგაშორა —
 შენ ღიმილმა,—მე ნაღველმა!..

.....

ტურფავ, ტურფავ,—მაგ თვალების
 ცეცხლით დავწვავ ჩემს გულს ნახად,
 მის წმიდა მტვერს საველ გზაზე
 გადაგიფენ ფიანდაზად —
 და... შენ ჰირკელ გრძნეულ სიტყვებს,
 თან მივითან კუბოს კარად, —
 თვის საფლავშიც შეყვარები! —
 მეყვარები მარად, მარად!..

5 აგლისი 1914 წ.

II

მისაუბრები

მისაუბრები და შენი ხმები,
 ზღვის ლოცვასავით წყნარნი და მშვიდნი,
 ეთეროვანის სუნთქვისა ფრთებით
 გულის ბალიდან ამონახილნი,

იფანტებიან ვარდის ფურცლებად
 და გრძნების სურნელს მიმოაბნევენ,
 მანთებენ ცეცხლად, მიწვევენ შორს, შორს
 და მოსვენებას აღარ მაძლევენ!..
 თვალნი დამწვავნი შუჭ ნაღვერდალით,
 ჩემს გულში ცეცხლის ბედსა ჰქსოვენ,
 მაცდურის მზერით მიგებენ მახეს,
 მამცდურ მზერითვე პასუხსა მოხოვენ.

...და აჰა, თუ კი ძაღვიძს გაიგო,
 აჰა, გულის ზღვა ცეცხლო-მოდებული,
 შიგ მრავალ-მთქმელი სიჩუმე ფრთხილი
 გარს ცრემლის ეკალ შემოვლებული!..
 და შიგ იცხოვრე ვარდის ცხოვრებით,—
 მაგრამ ამას კეთხოვ, მარგალიტო!
 რომ გულის ვარდი წუთის საცელქოდ
 და დასაქნობად არ მომიწყვიტო!..

13 აგლისი 14 წ.

III

რასა მპირდება?..

უღრუბლო გული, უცრემლო თვალი
 კოცნის შარბათით აცრილი ბაგე,
 მზერაში ცეცხლის აღ-ნაპერწყალი,
 ლაწვი, ღიმილით მოლიანდაგე,
 უხმო ღუმილში მრავალი სიტყვა
 და მიმოხვრაში ჯადო გრძნეული,
 მსუბუქ სუნთქვაში უმწყლო ღელვა —
 ჩემს ლაბირინტად გადაქცეული?

საით მიმიწვევს, რასა მპირდება,
 სად არის მისი მიზან-სახლვარი! —
 შიგ ჩემი ბედის ვარსკვლავი ჰკრთება,
 თუ სასიკვდილო ცივი ზღაპარი?!..

დეკემბერი — 14 წ.

IV

ფ ვ ი მ ს

წვიმს და ეუქუნა ვერცხლის წვეთები,
 სარკმლის მიწაზე სრიალით გლუნავს;
 გავყურებ ზნელ ცას და ქარიშხალი
 იქ მიმოარხვეს ჩემს ფიქრთა ტლუნ ნავს!..



ს ა ხ ა ლ ხ ო თ ე ა ტ რ ი ს დ ა ს ი



კ. ხახანაშვილი



ნ. გიორიძე



რევესორი
კ. შათირაშვილი



ს. რომანიშვილი



გ. ჯაბაური



დ. ბაკრაძე



მ. რომანიშვილისა



ანკარა



ელ. კინკაიძე



მ. მარტაიძისა



ვ. ნინიძე



გ ანაშვილი



მოკარნახე
მ. თუშვეთაშვილი



ალ. მეტრეველი



სცენარიუსი
ალ. ბაღრაძე



ა. ივერელი

ცის ქვემოდ ბნელა, ბნელა ჩემს გულშიც.
ცივა შიწაზე, ჩემს გულშიც ცივა;
სულში ეკალი ამოიზარდა,
ეკალი.- —მჩხვლტაეს და სული მტკივა!..

ახ, რა უღმერთოდ მომიკლეს გული
და დამიწყვედლეს ახალგაზრდობაც!—
ჯერ კი მაჩუქეს მე სიყვარული—
მერე წაპართვეს სიცოცხლის ნდობაც!..

ლამეც, ეჭ, ლამეც, დაღვარე ცრემლი,
არ შეუძლიან ჩემს ცარიელ გულს

რომ ისიც კენესით შეგეხმებოდეს
და ბანი მისცეს შენს გლოვის ფერხულს.
ლამეც, ეჭ, ლამეც, ცივი წვეთები
ყვლაე მოსთავაზე მკედარ გულის სარკმელს!
იტორე ლამეც, — ჩემსა მაგიერ—
შენ დაგავალღებ ჩემს გამოსათქმელს!..

ლ. ვაჟა-ფშაველას

ნ ა რ. 15 წ.

4301

მასკარადი

თვალი ბნელდება, გარეშემოს კი ნათელი სწვავს, მეწამულ კაბათ ხავერდის სუნს დარბაზი სუნთქავს, ქიანურის ხმაც ამ საღამოს უფრო მწუხარებს, და ჯერედ უცნობს თვით ჩემთვისაც მიშლის იარებს... იყო... წავიდა... მოგონებაც არ მაგონდება, შეუცნობელი კი ფართხალობს სულში ზმანება. რომ მკითხოთ ახლა, ნე რა მიწა, რის ლოდინი მკლავს თუ თონ არ ვიცი, რა დავარქვა ამ ტკბილს უხილავს... წარსული მოკვდა.. მომავალის ღიაა კარი, მაგრამ შორს მოსჩანს შეყუთენილი სულდართ მკვდარი. ჩემი სულიცა რუხ დილაზე მოკვდა ობოლი, წარსულ იმედთა ეკუბოვა მიმქრალი ბოლი, ეროვნულ ცეკვას აჩვენებენ აქ უცხოელებს. ქუივის ქიქინა, მოსთქვამს ზურნა ვკლურ სიმღერებს სიკვდილის ქარად მე იგი ხმა წამომიქროლებს, რეკვიემია ეს რომ ჩემი ვინ დაიჯერებს!.. და მაგონდება მე ვაშლის ხე მაისის თვეში, თეთრ ყვავილებით რომ ვაგებდი ეზოში ლოგინს, აღარ დაბრუნდეს აწ იგი დრო ჩემ სიცოცხლეში, აღარ დაუწყებს სული ჩემი საყვარელს ლოდინს!.. თვალი ბნელდება... გარეშემოს კი ნათელი სწვავს, მეწამულ კაბათ ხავერდის სუნს დარბაზი სუნთქავს, რომ შეაშფოთონ მათ მოწყენა, მუნჯი და მკვდარი, ჩემ რეკვიემად დაფა-ზურნის მოისმას ზარი..

ტ. ტაბიძე

კახეთის რკინის გზაზე

(სცენა)

(დილის რვა საათია. თბილისის სადგურზე კახელი მგზავრები იყრიან თავს. კასსთან ბილეთის სასყიდლად ჩამწკრივებულან სხვა და სხვა ყალიბისა და ჯურის ხალხი მაღალ-ვარატნიკიანი წრეში დგომას თაკილობს. განზე გასულა და ისე მიტყვება წრეს).

მოყოლუხტა. Ну! что за безобразия, арафегри „პარიადეა“ არ არის. როდის უნდა მელირსოს ბილეთის აღება! ყველგან გაუ... (დაინახავს ახლა მდგომ ჟანდარმს და წამოწითლებული ენაზე კბაღს დაიდგამს)

თელაველი ვაჭარი. მიიცი რაღა, რა კამეჩივით მაწვები, ვა! შენც გერმანია გახდი? ბევრი რომ იწიო, აქ „ჩერედას“ უნდა მოუტადო. ცოტა უკან დაიწი, ლამის სული ამოხაზო. ეს მოყოლუხტა განა კარგი არა

შერება, რო წრეს გარედ დამდგარა! ნამდვილი ქედნები ხართ ეს კახელები.

გლეხი. ბიკოი! შენ შლაკა ხომ არ გიპირებს? ვერა ხედავ პერვი ზვანოკია იყო, თუ არ მივაშურე—იქნება ორ დღეს აქ მოგვიხდეს თვალების ბრეტა.

უენდარმი. Назаль, назаль куди ле-зись.

(საბარგო კანტორასთან დადი სრესა)
ქენიან. მომხედეთ აქეთ, თუ ღმერთი გწამთ, მიიღეთ ეს ჩეკი; ხუთი ფუთია ჩემი ბარგი.

ვეხოგჩიკი. Четыре рубля девяносто пять копеекъ.

ქნ. რა ბრძანეთ?

ვეს. ვოთხი მანეთი და ვოთხმოცდა ხუთმეტი კაპეიკი, ბატონო.

ქნ. ჰე! ჰე! ნუ მასხარაობთ გენაცვათ, სწორეთ რა გერგებათ?

ვეს. იმე, კი არ ვმასხრობ, მეიტათ, ბატონო, ვოთხი მანეთი და ვოთხმოცდა ხუთმეტი კაპეიკი, ნუ მაცდენთ. მაგი ჩემგან კი არ დაწესდა, ჯვობში პასტანავლენია“ გახლავთ.

